GEORGIAN

Lambeth SANCTUARY SERVICES

Lambeth

თავშესაფრის მაძიებელთა მისასალმებელი პაკეტი

კეთილი იყოს თქვენი

www.lambeth.gov.uk/lambeth-sanctuary-services

შინაარსი

შინაარსი 2
ლამბეტის საბჭო 2
ლამბეტის თავშესაფრის სერვისები 3
ადგილობრივი მოხალისეობრივი და საზოგადოებრივი ჯგუფები 3
ჯანმრთელობა და კეთილდღეობა 3
უსაფრთხოება 4
პოლიცია და სახანძრო ბრიგადა 5
აუცილებელი ნივთები 5
განათლება 6
ყოველკვირეული სესიები პატარა ბავშვების ოჯახებისთვის 7
აქტივობები მოზარდებისთვის 7
ბიბლიოთეკები 8
მნიშვნელოვანი ინფორმაცია სიგარეტის ნამწვებისა და ნაგვის დაყრასთან დაკავშირებით 9
კონსულტაციების სააგენტო და უფასო იურიდიული კონსულტაციები 9
მოგზაურობა 10
სამლოცველო ადგილები 11
საზოგადოებრივი პარკები და მწვანე სივრცეები 11
ტანსაცმელი და საბავშვო ტანსაცმლისა და ნივთების უფასოდ გაცემის პუნქტები 12
ადგილობრივი მაღაზიები და ბაზრები 12
აქტივობები, რომელთა შესრულებაც შეგიძლიათ ლამბეტში და ლონდონის მახლობლად 13
ინგლისური სხვა ენაზე მოსაუბრეებისთვის 14

ლამბეტის საბჭო

- გვსურს უზრუნველვყოთ, რომ ლამბეტში სრულ მხარდაჭერას აღმოგიჩენენ და ასევე გექნებათ წვდომა დახმარებასა და შესაძლებლობებზე ოლქში, სადაც ცხოვრობთ. ეს პაკეტი მოგაწვდით ინფორმაციას ლამბეტში არსებულ სერვისებსა და ადგილებზე თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის.

- თუ დახმარება გჭირდებათ, დარეკეთ ნომერზე 020 7926 1000 ან ეწვიეთ ვებგვერდს www.lambeth.gov.uk

- [აქ მოცემულია ლამბეტის რუკა](), იდენტიფიცირებული თავშესაფრებით (ადგილები, სადაც ოლქი იყოფა, თითოეულს თავისი არჩეული საბჭოს წევრი ჰყავს).

ლამბეტის თავშესაფრის სერვისები

- ლამბეტის თავშესაფრების მომსახურების განყოფილება მუშაობს, რათა მხარი დაუჭიროს და მიეგებოს თავშესაფრის მაძიებლებს (თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და სხვები, რომლებიც იძულებითი მიგრაციის მსხვერპლნი გახდნენ).

- თუ გსურთ ლამბეტის თავშესაფრების მომსახურების განყოფილებასთან დაკავშირება, გაგზავნეთ ელ. წერილი ელ. ფოსტაზე: sanctuary@lambeth.gov.uk

- გარდა ამისა, შეგვიძლია დაგაკავშიროთ ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან – ზოგიერთი მათგანი ქვემოთ არის მოცემული.

ადგილობრივი მოხალისეობრივი და საზოგადოებრივი ჯგუფები



- **მიგრანტთა დახმარება:** www.migranthelpuk.org

- **Care4Calais**: www.care4calais.org

- სამხრეთ ლონდონის ლტოლვილთა ასოციაცია: www.slr-a.org.uk

- **ლონდონის ლგბტქ+ თემის ცენტრი:** www.londonlgbtqcentre.org

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

- შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ ოჯახის ექიმთან ან სტომატოლოგთან. რეგისტრაციისთვის არ დაგჭირდებათ საცხოვრებელი მისამართის მტკიცებულება, პირადობის მოწმობა ან იმიგრაციის სტატუსის წარდგენა.

- თქვენი სასტუმროს პერსონალსა და მიგრანტთა დახმარების გუნდსაც (www.migranthelpuk.org/Pages/Category/asylum) შეუძლიათ დაგეხმარონ ოჯახის ექიმთან ან სტომატოლოგთან დარეგისტრირებაში.

- თქვენთან ყველაზე ახლოს მოღვაწე ოჯახის ექიმი შეგიძლიათ იპოვოთ აქ: www.nhs.uk/service-search/find-a-gp

- თქვენთან ყველაზე ახლოს მოღვაწე სტომატოლოგი შეგიძლიათ იპოვოთ აქ: www.nhs.uk/service-search/find-a-dentist

- ზოგიერთი სამედიცინო მომსახურების ხარჯი დასაფარი იქნება და შეგიძლიათ ისარგებლოთ ფინანსური დახმარებით.

- გადაუდებელი სიტუაციების შემთხვევაში დაუკავშირდით დიდი ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის სისტემას. დარეკეთ ნომერზე **111** ან იხილეთ ვებგვერდი www.111.nhs.uk თუ ფიქრობთ, რომ გჭირდებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და არ იცით როგორც მოიქცეთ.

- გადაუდებელი სიტუაციის შემთხვევაში დარეკეთ ნომერზე **999** ან მიმართ გადაუდებელი დახმარების უახლოეს განყოფილებას. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია აქ: მიიღეთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება - NHS (www.nhs.uk)

- 111-ზე და 999-ზე დარეკვა უფასოა.

- შეგიძლიათ თქვენს ოჯახის ექიმს გაესაუბროთ, თუ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა გაწუხებთ. ლამბეტში არსებული საქველმოქმედო ორგანიზაციები და ჯგუფები, რომელთაც თქვენი დახმარება შეუძლიათ, იხილეთ აქ: www.hubofhope.co.uk

უსაფრთხოება

- თუ ღელავთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით - მაგალითად, გაწუხებთ თქვენი ან სასტუმროში მყოფი სხვა პირის ფიზიკური ან მენტალური კეთილდღეობა - გთხოვთ, დაუკავშირდეთ სასტუმროს მენეჯერს ან სასტუმროს სხვა პერსონალს, რომელიც დაგეხმარებათ შესაბამისი დახმარების მიღებაში.

- თუ თქვენ ან თქვენს რომელიმე ნაცნობს გაქვთ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემა და გჭირდებათ დახმარება, დაუკავშირდით **გაიას:**

    - ტელეფონი: 020 7733 8724
        - 08:00-დან 18:00 საათამდე, ყოველ დღე, ასევე, დამატებითი სერვისები სამუშაო საათებს მიღმა იმავე საკონტაქტო ნომერზე.

    - ელ. ფოსტა: lambethvawg@refuge.org.uk

პოლიცია და სახანძრო ბრიგადა

- პოლიციას შეუძლია თქვენი დახმარება გადაუდებელი მდგომარეობების დროს, როგორიცაა ძალადობა, ძარცვა ან რაიმე სხვა დანაშაული. პოლიციასთან დასაკავშირებლად არსებობს ორი უფასო ნომერი:

○ **999** - გამოიყენება რეალური გადაუდებელი შემთხვევების დროს, როდესაც პოლიცია დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს დანაშაულის ადგილას. მაგალითად, სერიოზული ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება ან სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა.

○ **101** - არაგადაუდებელი შემთხვევების დროს და დანაშაულების შესახებ შეტყობინებისთვის, რომლებიც არ საჭიროებს პოლიციის დაუყოვნებლივ რეაგირებას. მაგალითად, კერძო საკუთრების დაზიანება ან თქვენს უბანში ნარკოვაჭრობაზე არსებული ეჭვი. 101 ასევე გამოიყენება პოლიციის ადგილობრივ განყოფილებასთან დასაკავშირებლად.

- დარეკეთ ნომერზე **999**, თუ სახლში ხანძარი გაგიჩნდებათ ან სადმე სხვაგან დაინახავთ ცეცხლს.

აუცილებელი ნივთები

- საბჭო და სხვა ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციები პერიოდულად ორგანიზებას უწევენ აუცილებელი ნივთების დონაციას, როგორიცაა ქურთუკები, სპორტული ფეხსაცმელები და ლეპტოპები.

- ჰიგიენურ საშუალებებს თქვენი სასტუმრო გადმოგცემთ. დაელაპარაკეთ თქვენი სასტუმროს პერსონალს, თუ დაგჭირდებათ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ნივთი: შხაპის გელი, შამპუნი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, დეოდორანტი, საპარსი, სარეცხი ფხვნილი, მენსტრუალური პროდუქტები და ჰიგიენური საფენები.

- ორსული ქალები და მეძუძური დედები გაესაუბრეთ სასტუმროს პერსონალს, რომელთაც შეუძლიათ გადმოგცენ: ბავშვის ჩასაწოლი კალათი, ლეიბი და სადგამი, მათ შორის ზეწრები და ბავშვის საბნები (სანამ ბავშის საწოლს გადმოგცემენ), ბავშვის აბაზანა, ექვს თვეზე დიდი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი მაღალი სკამი, საფენები (შესაბამისი ზომის) და საფენების გადასაყრელი პარკები.

• ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კვება, ბოთლები, სასტერილიზაციო მოწყობილობა და ხელოვნური რძის ფხვნილი უზრუნველყოფილი იქნება, საჭიროებისამებრ, კვირაში ერთხელ და ჩამოსვლისას. ასევე, წვდომა გექნებათ სამზარეულოში არსებულ ჩაიდანზე ბავშვის საკვების მოსამზადებლად.

- უთხარით სასტუმროს პერსონალს, თუ ბავშვის საჭმელი დაგჭირდებათ. გარდა ამისა, სასტუმროს პერსონალი იზრუნებს იმაზე, რომ გქონდეთ წვდომა შესაბამის საკვებზე, რათა გადაიყვანოთ ბავშვი მყარ საკვებზე.

განათლება

თქვენი შვილისთვის სკოლას ან კოლეჯში ადგილის მოძიება

- სკოლის ასაკის ყველა ბავშვმა და მოზარდმა უნდა შეიტანოს განაცხადი სკოლაში/კოლეჯში რაც შეიძლება სწრაფად. ამ ბმულზე შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია ლამბეტის ყველა დაწყებითი სკოლის შესახებ, ხოლო ამ ბმულზე ინფორმაცია საშუალო სკოლების შესახებ.

- სკოლისთვის/კოლეჯისთვის განაცხადის შევსების ორი გზა არსებობს: ონლაინ ან ქაღალზე დაბეჭდილი სკანირებული ვერსიის გაგზავნა. დაელაპარაკეთ სასტუმროს მენეჯერს ან სასტუმროს სხვა თანამშრომელს, რომელიც დაგეხმარებათ სკოლისთვის განაცხადის დაწერასა და გაგზავნაში.

- სკოლაში/კოლეჯში განაცხადის გაგზავნიდან 15 დღის პერიოდში ლამბეტის საბჭოს მიმღები გუნდი შეატყობინებს მშობლებს/მეურვეებს, თუ რომელ სკოლაში/კოლეჯში ივლის მათი შვილი და სწავლის დაწყების თარიღს.

სასკოლო ფორმებისა და ნივთების შეძენაში დახმარება

- თავშესაფრის მაძიებელ ყველა ბავშვსა და მოზარდს, რომლებიც სკოლაში დაიწყებენ სიარულს, გადაეცემათ £100 სასკოლო ფორმისა და სხვა საჭირო სასკოლო ნივთების საყიდლად. სასკოლო ფორმებსა და ნივთებს სკოლა პირდაპირ ბავშვებს გადასცემს, ხოლო ლამბეტის საბჭო სკოლას თანხას აუნაზღაურებს.

- ამის შესახებ სკოლაში იკითხეთ. თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება, გამოგზავნეთ კითხვები ელ. ფოსტაზე sanctuary@lambeth.gov.uk

უფასო საკვები სკოლაში

- ამჟამად ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ და რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფო სახსრები (NRPF), სკოლაში უფასო საკვები ეკუთვნით. სკოლა მოახდენს ამის ორგანიზებას, მათ შეიძლება მოითხოვონ 95-ე პარაგრაფის დოკუმენტის ასლი მტკიცებულებად მთავარი ოფისიდან.

    - თუ შეგექმნებათ რაიმე პრობლემა სკოლაში თქვენი შვილისთვის უფასო საკვებთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე sanctuary@lambeth.gov.uk დახმარებისთვის.

- 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ლონდონში დაწყებითი სკოლის ყველა მოსწავლეს ეკუთვნის უფასო საკვები სკოლაში, არანაირი დოკუმენტაცია არაა საჭირო.

ყოველკვირეული სესიები პატარა ბავშვების ოჯახებისთვის

- ტარდება ყოველკვირეული სესიები 5 წლამდე ასაკის ბავშვების ოჯახებისათვის სამ ადგილას, რომელთაგანაც თითოეული ერთ-ერთ სასტუმროსთან ახლოსაა. იხილეთ დეტალები ქვემოთ.

    - **Agnes Riley Gardens, Clarence Avenue (corner off Poynders Road), ლონდონი, SW4 8NZ** – ყოველ ოთხშაბათს სემესტრის განმავლობაში, 11:00 – 14:00

    - **სენტ სტეფანის საბავშვო ცენტრი, 1 Meadow Place, ლონდონი, SW8 1XZ** – ყოველ სამშაბათს სემესტრის განმავლობაში, 13:00 – 15:00. ამ სესიებზე აგრეთვე არის საჭმლის მომზადებისა და გაზიარების შესაძლებლობა.

    - **სანიჰილის საბავშვო ცენტრი, Harborough Road, ლონდონი, SW16 2XW** – ყოველ ხუთშაბათს სემესტრის განმავლობაში, 11:00 – 14:00. ამ სესიებზე აგრეთვე არის საჭმლის მომზადებისა და გაზიარების შესაძლებლობა.

აქტივობები მოზარდებისთვის

- სასკოლო არდადეგების პერიოდში არის სხვადასხვა არდადეგების აქტივობა და საკვების (სახლის მესაკუთრეთა დახმარების ფონდი) პროგრამები. აღნიშნული აქტივობები უფასოა და მოიცავს სფეროებს დაწყებული სპორტიდან დამთავრებული ხელოვნებითა და ხელნაკეთი ნივთებით.

- ახალგაზრდა მრჩეველები ესტუმრებიან სასტუმროს თვეში ერთხელ, რათა მიაწოდონ ინფორმაცია ამ აქტივობების შესახებ, დაეხმარონ მოზარდებს დარეგისტრირებაში და ზოგჯერ შეძლებენ წაიყვანონ ისინი ამ აქტივობებზე პროგრამის პირველ დღეს.

•აღნიშნულ აქტივობებზე მეტი ინფორმაციის მისაღებად და თქვენი შვილის დასარეგისტრირებლად ეწვიეთ ვებგვერდს: www.lambeth.gov.uk/children-young-people-and-families/Young-peoples-support/activities-young-people

•ლამბეტში მოზარდებისთვის განკუთვნილი სხვა გასართობი შესაძლებლობების, როგორიცაა ახალგაზრდული კლუბები, პარკები, სათამაშო მოედნები და დასასვენებელი ობიექტები, სანახავად იხილეთ ეს ინტერაქციული რუკა.

ბიბლიოთეკები

- ყველა საჯარო ბიბლიოთეკა იმართება საბჭოს მიერ და ისინი უზრუნველყოფენ ინტერნეტზე წვდომის მქონე კომპიუტერებს. თქვენ შეგიძლიათ დაჯავშნოთ მაქსიმუმ ორი საათი დღეში და სარგებლობა უფასოა.

- თქვენთან ახლოს მდებარე ბიბლიოთეკის მოსაძებნად გთხოვთ შეამოწმოთეს ბმული.

- თქვენ შეგიძლიათ აიღოთ ლამბეტის ბიბლიოთეკის ბარათი ლამბეტში ბიბლიოთეკის მიმღების პერსონალთან გასაუბრებით ან ვებგვერდზე შესვლით, სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკის ბარათის სააპლიკაციო ფორმები სხვადასხვა ენაზე: www.lambeth.gov.uk/libraries-and-archives/join-library-0/library-membership-application-forms-other-languages

- როგორც ლამბეტის ბიბლიოთეკის მკითხველს, თქვენ შეგიძლიათ გაიტანოთ მაქსიმუმ 20 რამ ან წიგნი, მათ შორის ექვსამდე აუდიო-ვიზუალური საშუალება (DVD-ები, მოლაპარაკე წიგნები და ენის კურსები).

მნიშვნელოვანი ინფორმაცია სიგარეტის ნამწვებისა და ნაგვის დაყრასთან დაკავშირებით

- **მნიშვნელოვანი:** საჯარო სივრცეებში, **არ**:

  - დაყაროთ ნაგავი, მათ შორის სიგარეტის ნამწვები და საღეჭი რეზინი
  - გადაანერწყვოთ ღია საჯარო სივრცეში
  - მოშარდოთ საჯარო სივრცეში

- თუ თქვენ ამას გააკეთებთ, შესაძლოა მიიღოთ დადგენილი ჯარიმის უწყება (FPN) ჯარიმა £150-ს ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას გაცემის თარიღიდან 14 დღის ვადაში. თუ არ გადაიხდით აღნიშნულ ჯარიმას, ამან შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს თქვენს თავშესაფრის მაძიებლის აპლიკაციაზე. [დამატებითი ინფორმაციისთვის დააჭირეთ აქ](#).

- თქვენ უნდა ჩაყაროთ ნაგავი საჯარო სივრცეში არსებულ უახლოეს ნაგვის ურნაში და სიგარეტის ნამწვები ურნებზე მოთავსებულ საფერფლეებში ან პორტატულ საფერფლეებში.

კონსულტაციების სააგენტო და უფასო იურიდიული კონსულტაციები

Citizens Advice

- Citizens Advice არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალიზებულია კონფიდენციალურ ინფორმაციასა და კონსულტაციებში, რათა დახმარება გაუწიოს ხალხს სამართლებრივი, ვალის, სამომხმარებლო, საცხოვრებლის და სხვა პრობლემების მოგვარებაში გაერთიანებულ სამეფოში.

- Citizens Advice არის ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაცია და ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციების ქსელი, რომელიც უფასოდ გთავაზობთ ანონიმურ კონსულტაციებს ონლაინში, ტელეფონზე და პირადად.

  - ვებგვერდი: www.citizensadvice.org.uk
  - ტელეფონი: 0808 223 1133

- Citizens Advice ასევე მართავს „მოთხოვნის გაკეთებაში დახმარების სერვისს“, რომელიც დაგეხმარებათ უნივერსალური კრედიტის მოთხოვნის საწყის ეტაპებზე. თქვენ შეგიძლიათ გაესაუბროთ მათ ტელეფონის ან ონლაინ ჩატის საშუალებით.

- დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.citizensadvice.org.uk/helptoclaim ან დარეკეთ ნომერზე 0800 144 8444.

Law Works

- Law Works არის ინგლისსა და უელსში მოქმედი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს მოხალისე ადვოკატებს იმ ადამიანებთან, რომლებსაც ესაჭიროებათ იურიდიული კონსულტაცია, მაგრამ არ აკმაყოფილებენ სამართლებრივი დახმარების სერვისით სარგებლობის პირობებს და არ აქვთ გადახდის საშუალება.

  - ვებგვერდი: www.lawworks.org.uk

  - მისამართი: 296-302 High Holborn, ლონდონი WC1V 7JH

მოგზაურობა

ლამბეტსა და ლონდონში გადაადგილება

- ლამბეტი მიწისქვეშა მატარებლით (მეტრო), ავტობუსებითა და რკინიგზით უკავშირდება დანარჩენ ქალაქს.

- როდესაც სარგებლობთ მეტროთი ან მატარებლით, თქვენ უნდა დაადოთ თქვენი „Oyster“ ბარათი ან გამოიყენოთ უკონტაქტო გადახდის მეთოდი სადგურში შესვლისას **და** თქვენს დანიშნულების სადგურზე გამოსვლისას.

- როდესაც მგზავრობთ ავტობუსით ლონდონში, თქვენ უნდა დაადოთ თქვენი „Oyster“ ბარათი ან გამოიყენოთ უკონტაქტო გადახდის მეთოდი **ერთხელ** ავტობუსში ასვლისას. თქვენ არ გჭირდებათ მისი დადება ავტობუსიდან ჩამოსვლისას.

„Oyster“ ბარათები

- „Oyster“ ბარათი არის ლონდონში საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასურის გადახდის მეთოდი. ლონდონში მცხოვრებ 11 – 17 წლის მოზარდებსა და 60+ მოსახლეობას ეკუთვნით „Oyster“ ფოტობარათები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეღავათიან ფასად ან უფასოდ იმგზავრებენ ლონდონის მასშტაბით.

- ლამბეტის საბჭოს მიერ დანიშნული მოხალისეები ყოველთვიურად გაუწევენ პერსონალურ მხარდაჭერას სასტუმროებში მყოფებს ზემოთ აღნიშნული „Oyster“ ფოტობარათებით სარგებლობისათვის აპლიკაციის შევსებაში. ლამბეტის საბჭო გადაიხდის „Oyster“ ფოტობარათების საფასურს £15/£20.

- დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ლონდონში შესაბამისი ტრანსპორტის (TfL) ვებგვერდები:
    - 11 – 15 Zip Oyster ფოტობარათი
    - 16+ Zip Oyster ფოტობარათი
    - 60+ ლონდონის Oyster ფოტობარათი

სამლოცველო ადგილები

- ლამბეტი სავსეა უსაფრთხო ადგილებით, სადაც შეგიძლიათ ილოცოთ და მიჰყვეთ თქვენს რელიგიას. ამ ადგილების პოვნა მარტივადაა შესაძლებელი ინტერნეტში თქვენს ტერიტორიაზე მდებარე სალოცავი ადგილის მოძიებით.

საზოგადოებრივი პარკები და მწვანე სივრცეები

- ლამბეტში პარკებისა და მწვანე სივრცეების მდებარეობების სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: www.lambeth.gov.uk/parks

- აქ ნახავთ რამდენიმე პარკს ლამბეტში და მასთან ახლოს:
    - Brockwell Park, Norwood Road, Herne Hill, SE24 9BJ
    - Clapham Common, Windmill Dr, ლონდონი SW4 9DE
    - Streatham Common, ლონდონი, SW16 3BX
    - Tooting Commons, ლონდონი, SW16 1RT
    - Dulwich Park, College Rd, ლონდონი, SE21 7EB

- **ლამბეტში** კარგი საფეხმავლო მარშრუტების სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: www.alltrails.com/en-gb/england/london/lambeth/walking

- **ლონდონში** მეტი საფეხმავლო მარშრუტის სანახავად ეწვიეთ ვებგვერდს: www.alltrails.com/en-gb/england/london/walking

- თუ მოგწონთ სირბილი, ლამბეტისა და ლონდონის მასშტაბით პარკებში ყოველ შაბათს ტარდება „პარკის გარბენები“. ეწვიეთ: www.parkrun.org.uk რომ გაიგოთ სად და როდის ტარდება ისინი. აქ მოცემულია Brockwell Park-ისა და Clapham Common-ის „პარკის გარბენების“ ვებგვერდები:

    - www.parkrun.org.uk/brockwell
    - www.parkrun.org.uk/claphamcommon

ტანსაცმელი და საბავშვო ტანსაცმლისა და ნივთების უფასოდ გაცემის პუნქტები

- **ზრდასრულთა ტანსაცმლის უფასოს გაცემის პუნქტი** მისამართზე: St Vincent's Centre Brixton, Talma Road, ლონდონი, SW2 1AS
    - თვის ყველა ბოლო სამშაბათს, 11:00 – 14:00.

- **საბავშვო ტანსაცმლისა და ნივთების უფასოდ გაცემის პუნქტები** მისამართზე: Mosaic Clubhouse, 65 Effra Road, ლონდონი, SW2 1BZ
    - თვის ყველა ბოლო შაბათს, 12:00 – 13:00

ადგილობრივი მაღაზიები და ბაზრები

- გაერთიანებული სამეფოს ყველაზე პოპულარული სუპერმარკეტებია Tesco, Sainsbury's, Asda, Morrisons, Aldi, Iceland, და Lidl. ეწვიეთ www.supermarketgo.co.uk თქვენთან ყველაზე ახლოს მდებარე სუპერმარკეტის სანახავად.

- ლამბეტში ბევრი შესანიშნავი მაღაზია და ბაზარია, რომლებიც გთავაზობთ საკვების მრავალფეროვან არჩევანს. ბაზრებში კარგი ფასებია და წარმოდგენილია საერთაშორისო საჭმელების ფართო არჩევანი.

    - **Brixton-ის ბაზარი**, Brixton Station Rd, ლონდონი, SW9 8PD
        - აქ არის ქუჩის საკვების დახლები და ზოგადად ბაზარი კვირის დღეებში, ნაირგვარი დახლები შაბათობით და Brixton-ის ფერმერთა ბაზარი ყოველ კვირა დღეს, სადაც იყიდება ორგანული და ფერმის ცხოველთა პროდუქტები.

    - **Lower Marsh-ის ბაზარი,** Lower Marsh, ლონდონი, SE1 7RG
        - ამ წარმატებულ ბაზარს მართავს „We Are Waterloo“. ის მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.

    - **Venn Street-ის ბაზარი,** Venn St, ლონდონი, SW4 0AT
        - ეს დატვირთული საკვები პროდუქტების ბაზარი Clapham-ის შუაგულში მუშაობს შაბათობით.

- **Herne Hill-ის ბაზარი,** Railton Rd, ლონდონი, SE24 0JN
  - ეს აქტიური ბაზარი სავსეა დახლებით, რომლებზეც იყიდება ადგილობრივად წარმოებული საკვები, ასევე ხელნაკეთი ნივთები და ღიაა კვირაობით 10:00-დან 16:00 საათამდე.

- **Vauxhall-ის ბაზარი,** Battersea Park Rd, Nine Elms, ლონდონი, SW8 5DZ
  - ეს ღიაა კვირაობით 07:00-დან 14:00 საათამდე.

აქტივობები, რომელთა შესრულებაც შეგიძლიათ ლამბეტში და ლონდონის მახლობლად

ლამბეტში და ლონდონში არის ბევრი საინტერესო აქტივობის შესრულებისა და ადგილების მონახულების საშუალება.

- **უფასო მუზეუმები და ხელოვნების გალერეები:** ლონდონში ბევრი მუზეუმი და ხელოვნების გალერეა უფასოა, ეწვიეთ ამ ვებგვერდს დამატებითი ინფორმაციისთვის: www.timeout.com/london/museums/free-art-galleries-museums-in-london

- **Vauxhall City Farm**, 165 Tyers Street, ლონდონი, SE11 5HS – უფასო ფერმა ქალაქში, მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.vauxhallcityfarm.org

ლონდონს აქვს მრავალი ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობა. თქვენ შესაძლოა მოგიწიოთ გადახდა ზოგიერთ მათგანში, მაგრამ ასევე შეგიძლიათ შესვლის გარეშეც მიიღოთ სიამოვნება მათი უბრალოდ მონახულებით. აქ არის რამდენიმე მაგალითისთვის:

- **ლონდონის თვალი**, Riverside Building, County Hall, ლონდონი, SE1 7PB

- **პარლამენტის სახლები და ბიგ ბენი**, Westminster Bridge, ლონდონი, SW1A 0AA

- **უესტმინსტერის სააბატო**, 20 Deans Yd, ლონდონი SW1P 3PA

- **ბუკინგემის სასახლე**, ლონდონი, SW1A 1AA

- **წმ. პეტრეს ტაძარი**, St. Paul's Churchyard, ლონდონი, EC4M 8AD

- **ტრაფალგარის მოედანი**, ლონდონი, WC2N 5DN

ინგლისური სხვა ენაზე მოსაუბრეებისთვის

- ლამბეტში არის ბევრი უფასო ESOL (ინგლისური სხვა ენაზე მოსაუბრეებისთვის) გაკვეთილები, რომლებსაც უზრუნველყოფს ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, ბიბლიოთეკები, კოლეჯები და საზოგადოებრივი ჯგუფები. კურსები და სასაუბრო გაკვეთილები ხელმისაწვდომია სრულიად დამწყებთათვის საწყისი 1-დონიდან მე-2 დონის ჩათვლით.

- **შემდეგ რამდენიმე გვერდზე** არის ლამბეტში და მასთან ახლოს ESOL-ის გაკვეთილების რუკა, რომელსაც თან ახლავს ცხრილი დამატებითი დეტალებით რუკაზე მითითებული რიცხვების შესაბამისად. თქვენ ასევე შეგიძლიათ იხილოთ ESOL-ის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გაკვეთილები.

- Care4Calais-ი ატარებს არაფორმალური ინგლისურის გაკვეთილებს სასტუმროს მობინადრეებისთვის ვოქსჰოლში, რომელსაც ხელმძღვანელობს ფრენსის ფლოუდენი. გაესაუბრეთ Care4Calais-ის პერსონალს ვოქსჰოლში დამატებითი ინფორმაციისთვის.

ლამბეტში და მასთან ახლოს ESOL-ის გაკვეთილების რუკა



ცხრილი დეტალებით ESOL-ის გაკვეთილებზე

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
1	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი მორლის კოლეჯში, უოთერლოოში	შაბათი 10:00 – 13:00 ან 13:30 – 16:30 სამშაბათი და ოთხშაბათი 10:30 – 13:00	07395336234 ან Luna.Vythalingum@morleycollege.ac.uk	უოთერლოოს ცენტრი, 61 Westminster Bridge Rd ლონდონი SE1 7HT	არააკრედიტებული და ფორმალური - ESOL-ის აკრედიტებული გაკვეთილები საწყის 1-ზე შაბათს. ESOL-ის არააკრედიტებული გაკვეთილები წერა-კითხვის ახლახანს შემსწავლელთათვის სამშ/ოთხშ დილას	კურსები მიმდინარეობს სემესტრის განმავლობაში უოთერლოოს ცენტრში (საბავშვო ბაღი 15 თვეზე ზემოთ ბავშვთა შეზღუდული რაოდენობისთვის)
2	ინგლისური მოქმედებისთვის	TBC		ჰენრი ფოსეტის საბავშვო ცენტრი, Clayton Street. კენინგტონი, SE11 5BZ	არაფორმალური, ESOL-ის სასაუბრო კლუბი	
3	ლამბეტის ბიბლიოთეკები, სამხრეთ ლამბეტის ბიბლიოთეკა	შაბათი, 10:30 - 12:30	southlambethlibrary@lambeth.gov.uk	180 South Lambeth Road, ლონდონი, SW8 1QP	ფორმალური - ESOL-ის ონლაინ გაკვეთილები ლინოსთან ერთად - სასაუბრო	
4	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	ხუთშაბათი დილა	07396 397 487 ან community@morleycollege.ac.uk ან	ლიზ ეტკინსონის საბავშვო ცენტრი, 9 Mostyn Road, SW9 6PH	არაფორმალური - ESOL-ის არააკრედიტებული გაკვეთილებ	კურსი ტარდება მხოლოდ სემესტრის განმავლობაში. საბავშო ბაღი 6

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
	მორლის კოლეჯში, ლიზ ეტკინსონის საბავშვო ცენტრი		lizatkinsonc c@jsfederation.org.uk		ი საწყის დონეზე	თვეზე ზემოთ ბავშვთა შეზღუდული რაოდენობისა თვის
5	სფრინგფილდის საზოგადოებრივი ცენტრი	ორშაბათი - ხუთშაბათი, 10:00 - 12:00	ელიზაბეტ რუისი	ქრაისთჩარჩის ჰოლი, 41 Union Grove SW8 2QG	არაფორმალური	
6	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი მორლის კოლეჯში, სტოკველში	კვირის ზოგიერთი დღის კურსები და დიდი გაკვეთილი შაბათს, 10:00 – 13:00 ან 13:30 – 16:30	07395336234 ან Luna.Vythalingum@morleycollege.ac.uk	სტოკველის ცენტრი, 1 Studley Rd, ლონდონი SW4 6RA	ფორმალური - ESOL-ის აკრედიტებული კურსები საწყისი 1 და საწყისი 2, არააკრედიტებული და ფორმალური - ESOL-ის აკრედიტებული კურსები საწყისი 1-დან 1-ლ დონემდე	სტოკველის ცენტრს (სტოკველის მეტროს უკან) არ აქვს საბავშვო ბაღი.
7	ქეთრინ ლოუს დასახლება (KLS)	ხუთშაბათი, 12.30-14.30		108 Battersea High St, ლონდონი SW11 3HP	არაფორმალური	საფასურები გადახდილია
8	ESOL – ბეიტრის ცენტრი	ორშაბათი - ხუთშაბათი (ცვალებადი ცხრილი)	მარგარეტ ბრაუნი, 07432 738360, margaret@baytreecentre.org.uk	300 Brixton Road, ლონდონი, SW9 6AE	ფორმალური - ESOL-ის წერა-კითხვის გაკვეთილები ქალებისთვის, არაფორმალური - ESOL-ის სასაუბრო კლუბი იმ	სოციალური მობილობის პროგრამა, კეთილდღეობის სესიები, სკოლის შემდგომი და არდადეგებზე შესასრულებელი აქტივობები გოგონებისთვ

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
					გოგონებისთვის, რომლებიც ელიან სკოლაში ადგილებს	ის, საბავშვო ბაღი არაა
9	ინგლისური ყველასთვის | ინდოამერიკელ ლტოლვილ მიგრანტთა ორგანიზაცია (IRMO)	ონლაინი	0207 733 9977 ან ete.info@irmo.org.uk		არაფორმალური	ESOL-ის კომპიუტერებზე დაფუძნებული გაკვეთილები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ვორქშოფები ინტერნეტში თვალიერებაზე, ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარებაზე, ონლაინში ფინანსების განკარგვაზე, სამსახურის პოვნასა და ონლაინ სერვისებზე წვდომაზე.
10	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი MI უნარების & განვითარების ცენტრში	ორშაბათი - პარასკევი (დამოკიდებულია კურსზე), 9:30 - 12:00 და 12:00 - 15:00 და 15:30 - 18:00	020 7501 6450 ან info@micomputsolutions.co.uk	The Queen, 47a Bellefields Road, ბრიქსტონი. SW9 9UH	ფორმალური - ESOL-ს კითხვა და წერა საწყის 1, საწყის 2, საწყის 3, 1-ლ და მე-2 დონეებზე	საბავშვო ბაღი არაა, უმუშევარი და აიყვანს რამდენიმე თანამშრომელს ასევე.

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
11	ელისონ ნიუბერი	ხუთშაბათობით ნაშუადღევს		91 Clapham High St, ლონდონი SW4 7DB	არაფორმალური	საბავშვო ბაღი არაა
12	ლამბეტის ბიბლიოთეკები, ქლეფჰემის ბიბლიოთეკა	სამშაბათი, 14:00 - 16:00	anewbery52@gmail.com	მერი სიქოულის ცენტრი, 91 Clapham High Street. ლონდონი, SW4 7DB	არაფორმალური, ESOL-ის სასაუბრო კლუბი	საბავშვო ბაღი არაა
13	ლამბეტის კოლეჯი, ქლეფჰემი	ორშაბათიდან პარასკევამდე, დღის საათებში	customerservices@southbankcolleges.ac.uk	45 Clapham Common South Side, ლონდონი SW4 9BL	ფორმალური - 16 - 18. საწყისის წინა დონე 1	
14	ლამბეტის კოლეჯი, ქლეფჰემი	კვირის დღეები, დღის საათები, დამოკიდებულია კურსზე	customerservices@southbankcolleges.ac.uk	45 Clapham Common South Side, ლონდონი SW4 9BL	ფორმალური - საწყისის წინადან 1-ლ დონემდე.	14-16 აპლიკანტების თვის, რომლებიც არ არიან სკოლაში, მთელი წლის განმავლობაში დასაქმება ქლეფჰემში, კვირის დღეებში, დღის საათებში, დამოკიდებულია კურსზე.
15	ლამბეტის კოლეჯი, ბრიქსტონი	კვირის დღეებში ნაშუადღევს მხოლოდ საწყისი დონე	customerservices@southbankcolleges.ac.uk	56 Brixton Hill, ლონდონი SW2 1QS	ფორმალური	ESOL-ის კომპიუტერზე დაფუძნებული გაკვეთილები
16	ლამბეტის კოლეჯი, ბრიქსტონი	დღის საათებში კვირის დღეებში საღამოობით კვირის დღეებში დღის საათებში	customerservices@southbankcolleges.ac.uk	57 Brixton Hill, ლონდონი SW2 1QS	ფორმალური, ზრდასრულთა, საწყისი 1, 1-ლი და მე-2 დონე	ფუნქციური უნარები, მათემატიკა, როგორც ESOL-ის კურსების

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
		შაბათობით				ნაწილი და ცალკემდგომი კურსები. საჭიროების შეფასების შემდეგ უზრუნველყოფა ჩარიცხვა სავალდებულოა, საბავშვო ბაღი არაა.
17	Care4Calais	ოთხშაბათობით დილას	ამაღლების ტაძარი, ბელჰემი	23 Malwood Rd, ლონდონი SW12 8EN	არაფორმალური	
18	[შეუზღუდავი სწავლება]	კვირაში 4-ჯერ	[https://forms.gle/GDHKWh5NWxTo1cW36]	აგნეს რაილის ცენტრი, Atkins Rd SW12 0AH	არაფორმალური, ESOL-ის სასაუბრო კლუბები ოჯახური სწავლების სესიების მიმდინარეობისას	ESOL - ონლაინ და პირისპირ (სოვექსა და ლამბეტში)
19	ახალი ხედვა ქალებისთვის	ორშაბათობით დილას	[nighat.khan@newvision4women.co.uk]	აგნეს რაილის ცენტრი, Atkins Rd SW12 0AH	არაფორმალური	მხოლოდ ქალებისთვის
20	[ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი რაიფ ლერნინგში]	საწყისი დონე 1-ლი (დამწყები) - ოთხშაბათი & ხუთშაბათი, 10:00-12:00. საწყისი დონე მე-2 (დამწყები) - ორშაბათი & სამშაბათი, 10:00-12:00. საწყისი დონე მე-3 (საშუალოს წინა დონე) - ხუთშაბათი	[hello@ripelearning.com]	როუზენდეილის საზოგადოებრივი ცენტრი, ლონდონი, SE24 9DR	ფორმალური, საწყისიდან მე-3 დონემდე,	შერეული ონლაინ და პირისპირ

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
		& პარასკევი, 13:00-15:00. დონე 1-ლი (საშუალო) - ოთხშაბათი, 16:00-18:00. საწყისის წინა დონე (სრულიად დამწყები) - პარასკევი, 10:00-12:00				
21	ლამბეტის ბიბლიოთეკები, ბელჰემის ბიბლიოთეკა	ორშაბათი. 10:00 - 12:00			არაფორმალური	
22	სამხრეთ ლონდონის ლტოლვილთა ორგანიზაცია (slr-a.org.uk) ვუდლოუნის ცენტრი	სამშაბათი, 10:30 - 12:00 და ხუთშაბათი, 13:15 - 14:45	0203 490 3443 ან admin@slr-a.org.uk	16 Leigham Court Rd SW16 2PJ	არაფორმალური	
23	ლამბეტის ბიბლიოთეკები, უესტ ნორვუდის ბიბლიოთეკა	ორშაბათი, 18:00 - 20:00	westnorwoodlibrary@lambeth.gov.uk	1-5 Norwood High Street. ლონდონი, SE27 9JX	ფორმალური	
24	ლამბეტის ბიბლიოთეკები, სთრითჰემის ბიბლიოთეკა	ორშაბათი, 09:30 - 14:00 და ოთხშაბათი, 10:00 - 14:00	streathamlibrary@lambeth.gov.uk	63 Streatham High Road, ლონდონი. SW16 1PN	ფორმალური	

რიცხვი რუკაზე	პროვაიდერი	დროები	კონტაქტი	მისამართი	მიწოდების ტიპი	სხვა ინფორმაცია
25	ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთათვის სათემო აუთრიჩის ორგანიზაცია	ქალების ESOL ოთხშაბათობით დილას, ქალების კომპიუტერის დაწყებითი სესიები პარასკევობით დილას	020 8767 5378	25 Blakenham Rd, ლონდონი SW17 8NE	არაფორმალური, ESOL-ის სასაუბრო	მხოლოდ ქალებისთვის, საბავშვო ბაღი არის, საფასურები გადახდილი
26	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი მორლის კოლეჯში, ლუინგტონის ცენტრი	კვირის დღეები	07395336234 ან Luna.Vythalingum@morleycollege.ac.uk	ლუინგტონის ცენტრი, 9 Eugenia Road, SE16 2RU	ESOL-ის არააკრედიტებული გაკვეთილები წერა-კითხვის ახლახანს შემსწავლელთათვის სამშ/ოთხშ დილას	კურსები მიმდინარეობს სემესტრის განმავლობაში ლუინგტონის ცენტრში (საბავშვო ბაღი არაა)
27	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი მორლის კოლეჯში, ჯუბილის საბავშვო ცენტრი	ორშაბათი დილა	07395 397 487 ან community@morleycollege.ac.uk ან lizatkinsonc@jsfederation.org.uk	ჯუბილის საბავშვო ცენტრი, Tulse Hill, SW2 2JE	არაფორმალური, ESOL-ის არააკრედიტებული გაკვეთილები წერა-კითხვის ახლახანს შემსწავლელთათვის სამშ/ოთხშ დილას	კურსები მიმდინარეობს სემესტრის განმავლობაში ლუინგტონის ცენტრში (საბავშვო ბაღი არაა)
N/A	ლამბეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი თემზ რიჩში	ონლაინი		ონლაინი	ონლაინი	